ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: ფილოსოფია

კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	ფილოსოფია
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	ფილოსოფიის მაგისტრი Master of Philosophy
პროგრამის ხანგრძლივობა /მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	4 სემესტრი, 120 კრედიტი.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელები	თამარ ცოფურაშვილი, პროფესორი გიგა ზედანია, პროფესორი
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2011 წელს და განახლებულია 2022 წელს. პროგრამა განახლებადია ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველ კონკურსანტს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღებისთვის კონკურსანტმა უნდა ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად და აგრეთვე შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა (წერითი გამოცდა და ზეპირი გამოცდა). შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ფარგლებში მოწმდება სტუდენტის ინგლისური ენის კომპეტენცია (B2) და დარგობრივი ცოდნა, რომლის შემოწმებაც მოხდება ფილოსოფიის ისტორიაში კონკურსანტის კომპეტენციის დადგენით.

კონკურსანტმა ბაკალავრის დიპლომთან ერთად უნდა წარმოადგინოს სასწავლო ბარათი.

დეტალური ინფორმაცია შიდასუნივერსიტეტო გამოცდის პირობების, მოთხოვნების, შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების შესახებ მოცემულია „პროგრამაზე მიღების დოკუმენტში“, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე - www.iliauni.edu.ge.

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია, მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები ფილოსოფიის დარგში, რომელთაც ექნებათ სიღრმისეული ცოდნა ტრადიციულ ფილოსოფიურ დისციპლინებში (ონტოლოგია, ეპისტემოლოგია, ეთიკა, ესთეტიკა, კულტურის ფილოსოფია, პოლიტიკის ფილოსოფია, რელიგიის ფილოსოფია) და განუვითარდებათ ანალიტიკური უნარები, რათა შეძლონ არჩეული სპეციალიზაციის ფარგლებში ცენტრალური ფილოსოფიური პრობლემების გადაჭრის მიზნით შესაბამისი თეორიული ჩარჩოს შექმნა და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.

სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

1. ავლენს სისტემურ ცოდნას მნიშვნელოვანი რელევანტური თეორიების, ისტორიული და აწმყო დებატების შესახებ დისკუსიის ან კრიტიკული რეფლექსიის დროს თეორიული ფილოსოფიის მიმართულებით;
2. ავლენს სისტემურ ცოდნას მნიშვნელოვანი რელევანტური თეორიების, ისტორიული და აწმყო დებატების შესახებ დისკუსიის ან კრიტიკული რეფლექსიის დროს პრაქტიკული ფილოსოფიის მიმართულებით;
3. შეუძლია ანტიკურობისა და მოდერნის ეპოქიდან თანამედროვეობამდე შექმნილი ფუნდამენტური ფილოსოფიური ტექსტების კრიტიკული ანალიზი და შეფასება;
4. შეუძლია ფილოსოფიის არჩეულ დარგში დამოუკიდებლად განსაზღვროს აქტუალური საკვლევი პრობლემა და განახორციელოს რელევანტურ თეორიულ ჩარჩოსა და ჰიპოთეზაზე დამყარებული კვლევა ფილოსოფიის სფეროში თანამედროვე მეთოდოლოგიური პრინციპებისა და ტენდენციების გამოყენებითა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
5. კვლევის განხორციელებისას ეფუძნება პირველადსა და მნიშვნელოვან მეორად წყაროებს; იყენებს საბიბლიოთეკო რესურსებსა და სამეცნიერო ბაზებს;
6. შეუძლია ფილოსოფიურ საკითხებზე საკუთარი მოსაზრებებისა და შეხედულების ჩამოყალიბება გამართულად და თანმიმდევრულად, არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების გამოყენებით; დისკუსიისას ავლენს ღიაობას კრიტიკისა და ოპონირებისადმი;
7. შეუძლია წერილობით და ზეპირად კვლევის შედეგების, საკუთარი დასკვნებისა და დასაბუთებული არგუმენტების გაზიარება პროფესიული და აკადემიური საზოგადოებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;
8. აქვს ავტონომიურად მოქმედების უნარი სწავლისა და კვლევის პროცესში და ავლენს საკუთარ მეცნიერულ ხედვასა და დამოკიდებულებას.

პროგრამის სტრუქტურა

ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა გაიაროს პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტები შემდეგი სქემის გათვალისწინებით:

- სავალდებულო კურსები – 30 კრედიტი;
- სავალდებულო-არჩევითი კურსები თეორიული ფილოსოფიიდან - მინიმუმ 24 კრედიტი;
- სავალდებულო-არჩევითი კურსები პრაქტიკული ფილოსოფიიდან - მინიმუმ 24 კრედიტი;
- არჩევითი კურსები - 12 კრედიტი (რჩევითი კურსები სტუდენტს შეუძლია აირჩიოს როგორც ფილოსოფიის, ასევე სხვა სამაგისტრო პროგრამიდან);
- სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი.

სწავლების მეთოდები

- ლექცია;
- სემინარი;
- დისკუსია/დებატები;
- დემონსტრირების მეთოდი;
- ანალიზი და სინთეზი;
- პრაქტიკული მეთოდი;

- ინდუქცია და დედუქცია;
- სუპერვიზია.

შენიშვნა: პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში/კონცეფციებში.

შეფასების წესი

შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:
(A) ფრიადი - 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
(C) კარგი - 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი -61-70 ქულა;
(E) საკმარისი - 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩააბარა- 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა- 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: შეფასების კომპონენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

დასაქმების სფეროები

პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს შეუძლია დასაქმდეს შემდეგ სფეროებში:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- საჯარო სამსახურში;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში;
- გამომცემლობებში;
- არასამთავრობო ორგანიზაციებში;
- კულტურის მენეჯმენტში;
- ზრდასრულთა საგანმანათლებლო გადამზადების პროგრამებში შესაბამისი პროფილის კვლევით ცენტრებში/ინსტიტუტებში;
- უმაღლესი განათლების დაწესებულებებში.

პროგრამის დამთავრება საშუალებას აძლევს სტუდენტს სწავლა განაგრძოს დოქტორანტურაში.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა „არგუსი “;
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა E-learning და მასში ინტეგრირებული პროგრამა Turnitin;
- უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრები;
- სალექციო აუდიტორიები;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ელექტრონული რესურსები (მათ შორის სამეცნიერო);
- ელექტრონული ბაზები;

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი;
- ილიას სახელმწოფო უნივერსიტეტის სოციალური და კულტურის კვლევების ინსტიტუტი;
- ბიოეთიკის ცენტრი;
- უნივერსიტეტის მულტიმედია-ბიბლიოთეკა.